ღონისძიებათა დეტალური ცხრილი
2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის ხელშეწყობისთვის
{პროგრამის დანართი #2. სახელმძღვანელო ფორმა}

IMG-GCRD & MRDI

პრიორიტეტი	1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა	
ღონისძიება	1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	
დასაბუთება	საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან მიზანს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა წარმოადგენს.	
მიზნები	გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროისა და სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო ხარჯების შემცირება.	
აქტივობები	- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მათი შემდგომი სათანადო მოვლა-შენახვა - მოსალოდნელი სატრანსპორტო მოძრაობის მოცულობის შესაბამისი ტექნიკური სტანდარტების დაცვა.	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	- სატრანზიტო მიმართულებები, რეგიონულ და რაიონულ ცენტრებთან მისასვლელი გზები, მჭიდროდ დასახლებული სოფლები, ტურისტული მარშრუტები	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	- მგზავრთა ხარჯების შემცირება და მობილურობის გაზრდა - ამორტიზირებული საავტომობილო გზების აღდგენა და მათი შემდგომი სათანადო მოლვა-შენახვა - გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის შედეგად სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა - ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო აქტივობა (კმ) რეაბილიტაცია–პერიოდული შეკეთების სამუშაოები გზის სიგრძე (კმ) სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელებული პროექტების რაოდენობა ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორცილებული პროექტების რაოდენობა	**საბოლოო შედეგები:** • ქვეყნის ტერიტორიაზე გზებზე საერთაშორისო და შიდა მოძრაობის გაზრდა • თბილისიდან ბათუმამდე მოგზაურობის დროის შემცირება 5 საათამდე

ფინანსური შეჯამება	• 2015 – 474.1 მლნ ლარი • 2016 – 516.9 მლნ ლარი • 2017 – 828,6 მლნ ლარი	ბიუჯეტის კოდი • 25 02 02 (25 02 02 05 და 25 02 02 07 გარდა) • 25 02 03
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
საკონტაქტო ინფორმაცია	პავლე გამყრელიძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს გზების დეპარტამენტი	

პრიორიტეტი	1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა
ღონისძიება	1.2 მყარი ნარჩენების მართვა
დასაბუთება	წლების განმავლობაში არამარტო სოფლად, არამედ საქართველოს დიდ ქალაქებშიც მყარი ნარჩენების მართვის სისტემა არაეფექტიანი და პრობლემატური იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო არსებული მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელების მდგომარეობა. ტრადიციულად, ნარჩენების განთავსება მდინარეებისა და ხეობების მიმდებარედ ხდებოდა, სოფლების უმრავლესობაში იგივე პრაქტიკა შენარჩუნებულია. აღნიშნული მდგომარეობა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს და ქმნის ცხოვრებისა და დასვენებისათვის არასასურველ პირობებს, ნეგატიურად მოქმედებს რეგიონების ტურისტული პოტენციალი გამოყენების შესაძლებლობაზე.
მიზნები	გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მყარი ნარჩენების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება; ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
აქტივობები	• ეკოლოგიური, ფინანსური და ეკონომიკური ზეგავლენის მქონე მუნიციპალური ნაგავსაყრელის მართვის სისტემის შემუშავება; • ახალი, რეგიონული სანიტარული ნაგვსაყრელების მშენებლობა/მართვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; • მყარი ნარჩენების მართვის სექტორში ახალი/თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ინიცირება და განხორციელების ხელშეწყობა; • არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის პროექტების შემუშავება და განხორციელება (მაგალითად, ნაგავსაყრელის შიდა ინფრასტრუქტურა: გზები & საპლატფორმო სასწორები, ოპერატორის ჯიხური, ხანძარსაწინაღმდეგო ფარი, ნარჩენების შემოზვინვა, დაპრესვა და საიზოლაციო ფენით დაფარვა.და ა.შ.); • არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობების გეგმების მომზადება და განხორციელება ეტაპოვრივად, გარემოსა და ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების რისკის დონის შეფასების საფუძველზე; • გარემოსა და ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე არსებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების იდენტიფიცირება, დახურვა/რემედიაცია; • არსებული ნაგვსაყრელებიდან ენერგიის აღდგენის პოტენციალის კვლევის დასრულება და მისი გამოყენების ხელშეწყობა.
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	• არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის შეფასების საფუძველზე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის დონის დადგენა. • ახალი, რეგიონული ნაგავსაყრელის ტერიტორია, კლიმატური და გეოგრაფიული პირობები და მოცულობა; • მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა და სიმჭიდროვე; • ტურიზმის განვითარების პოტეციალი რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტში.

სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	მუნიციპალიტეტები (გარდა აჭარისა და თბილისისა); ყველა რეგიონი; მოსახლეობა; ადგილობრივი სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორი	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • კეთილმოწყობილი/რეაბილიტირებული, არსებული, ნაგვსაყრელების რაოდენობა • შეჩერებული ნაგავსაყრელების რაოდენობა • დახურული ძველი ნაგავსაყრელების რაოდენობა • ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების რაოდენობა	**საბოლოო შედეგები:** • 2017 წ. ბოლოსთვის გარემოსა და ჯამრთელობაზე მავნე მოქმედების შემცირებული რისკის მქონე ნაგავსაყრელების წილი 94 %-მდე გაიზრდება
ფინანსური შეჯამება	• 2015 – 18.1 მლნ ლარი • 2016 – 7.7 მლნ ლარი • 2017 – 13.5 მლნ ლარი	ბიუჯეტის კოდი • 25 03 07 (2017 - 25 03 10) • 25 03 08 (2017 - 25 03 11) • 25 03 09 (2017 - 25 03 12)
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	
საკონტაქტო ინფორმაცია	ლაშა მჭედლიძე	

პრიორიტეტი	1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა	
ღონისძიება	1.3. წყალმომარაგება, კანალიზაციისა და წყალარინების სისტემები	
დასაბუთება	საქართველოს რეგიონების მოსახლეობის მიშვნელოვან ნაწილს არ აქვს წვდომა სასმელი წყლის 24 საათიან მომარაგებასა და საკანალიზაციო სისტემაზე. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება, წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია,სატუმბი სადგურებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.	
მიზნები	სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია ქუთაისში, ფოთში, ანაკლიაში, მესტიაში, ურეკში,ზუგდიდსა და მარნეულში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შვიდივე ქალაქში სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	
აქტივობები	წყლის მოპოვება, დამუშავება და აბონენტებისათვის სასმელი წყლის მიწოდება; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, შეკეთება და ექსპლუატაცია; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის ელემენტების წარმოება-შეკეთება.	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მდგომარეობა და საჭიროებათა შეფასება რეგიონებში	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	დიდი ქალაქები, ტურისტული ზონები და 51 მუნიციპალური ცენტრი. ზოგადად, დღესდღეობით საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 58 ქალაქს, მუნიციპალიტეტს და ტურისტულ ზონას ემსახურება.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა • აგებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა • ახლადგამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა • რეაბილიტირებული ან ახლადგაყვანილი წყალმომარაგების მილსადენების სიგრძე (კმ-ში) • ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც საკანალიზაციო სისტემას შეუერთდნენ. **მიზნები:** • 2015-2017 წლებში 7 ქალაქში, მუნიციპალიტეტსა და დასახლებებში პროექტების განხორციელება.	**შედეგები:** • მოსახლეობის წილი, რომელსაც სუფთა წყალი მიიწოდება 2011-2019 წწ. 25 %-დან 88%-მდე გაიზრდება • მოსახლეობის წილი რომელსაც 24 საათის განმავლობაში წყალი მიიწოდება 2011-2019 წწ. 74%-დან 95%-მდე გაიზრდება

ფინანსური შეჯამება	• 2015 – 135.4 მლნ ლარი • 2016 – 157.9 მლნ ლარი • 2017 – 180,5 მლნ ლარი	**ბიუჯეტის კოდი** • 25 04 01 • 25 04 02 • 25 04 03 • 25 04 04 • 25 04 05 • 25 04 07
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი	
საკონტაქტო ინფორმაცია	გიორგი არჩაია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ანა თავდგირიძე სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი	

პრიორიტეტი	1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა
ღონისძიება	1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა
დასაბუთება	საქართველოს ტერიტორია ხასიათდება სპეციფიკური გეოლოგიური აგებულებითა და ბუნებრივი პირობებით. ხშირია სტიქიურ– გეოლოგიური პროცესების განვითარება-რეაქტივაცია, გეოლოგიური პროცესის საშიშროების რისკი და შესაბამისად ბუნებრივი კატასტროფები. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ზიანდება ინფრასტრუქტურა, ზოგჯერ იწვევს უბედურ შემთხვევეს. ბუნებრივი კატასტროფების ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანისა და ეკონომიკური ზარალის რისკები მინიმუმამდე შემცირებისათვის მნიშვნელოვანია მოწყვლად ტერიტორიებზე პრევენციული, სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების გატარება. როგორიცაა: ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზის ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნა, რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე პრევენციულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და სათანადო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.
მიზნები	ბუნებრივი კატასტროფების ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობის გაზრდა (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) პრევენციული ღონისძიებების გატარება - შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა/მოწყობა (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ნაწილი)
აქტივობები	• მოწყვლადი ტერიტორიების იდენტიფიცირება/ანალიტიკური კვლევა და ბუნებრივი საფრთხეების/კატასტროფების პროგნოზირების ადრეული შეტყობინების სისტემის შემუშავება და დანერგვა; • რეგიონების სფეციფიკიდან გამომდინარე პრევენციულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება; • ბუნებრივი საფრთხეების/კატასტროფების პრევენციის მიზნით ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება /რეაბილიტაცია

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	სტიქიურ - გეოლოგიური პროცესების განვითარების ანალიზზე დაყრდნობით მაღალი რისკის მქონე ტერიტორიები და ინფრასტრუქტურა	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	ბუნებრივი კატასტროფების/საფთხეების რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა, არსებული ინფრასტრუქტურა, ტერიტორიებზე განვითარებული ეკონომიკური საქმიანობა.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • ბუნებრივი საფთხეების პროგნოზირების შესახებ მომზადებული ანალიტიკური კვლევა (ანგარიში) • შემუშავებულია ბუნებრივი საფრთხეების/კატასტროფების პროგნოზირების ადრეული შეტყობინების სისტემა (მოწყვლადი რეგიონების რაოდენობა, სადაც დაინერგა სისტემა); • შემუშავებული პრევენციულ ღონისძიებათა გეგმა (რაოდენობა); • ბუნებრივი საფრთხეების პრევენციის მიზნით განხორციელებულია ინფრასტრუქტურული პროექტები (რაოდენობა) • სანაპირო ზონაში ბუნებრივი საფრთხეების პრევენციის მიზნით განხორციელებულია ინფრასტრუქტურული პროექტები (რაოდენობა) • ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტის რაოდენობა, რომლის ტერიტორის გაუვნებელყოფაც განსაზღვრულია • სამრეწველო ობიექტის გაუვნებელყოფილი დაბინძურებული ტერიტორის ფართობი	**შედეგები:** • 2-კმ ბუფერულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დაცული იქნება ნაპირსამაგრი ნაგებობებით • 2017 წლის ბოლოსთვის 23 ათასი კმ დაცული იქნება ნაპირსამაგრი ნაგებობებით • ისტორიული სამრეწველო კერების გაუნებელყოფის მიმართულებით - გარემოს დაბინძურებისა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლო რისკებისშემცირება
ფინანსური შეჯამება	• 2015 – 26.2 მლნ ლარი • 2016 – 16.8 მლნ ლარი • 2017 – 18.1 მლნ ლარი	**ბიუჯეტის კოდი:** • 25 02 02 05 • 25 02 02 07 • 38 08

განმახორციელებელი უწყება	ინფრასტრუქტურული სამუშაოები - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; გარემოს ეროვნული სააგენტო.
საკონტაქტო ინფორმაცია	ანალიზი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პავლე გამყრელიძე - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მაია ჯავახიშვილი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. მარიამ ხვედელიძე - გარემოს ეროვნული სააგენტო.
პრიორიტეტი	**1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა**
ღონისძიება	**1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება**
დასაბუთება	ტყეს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% უჭირავს. ტყეებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა უკანონო ექსპლუატაციისა და რუსეთ - საქართველოს ომის დროს გაჩენილი ხანძრის შედეგად. ტყის სრული ინვენტარიზაცია ბოლო 20 წლის მანძილზე არ ჩატარებულა და ინფორმაცია მათი მდგომარეობის შესახებ არ მოიპოვება.
მიზნები	ამ ღონისძიების მიზანია ტყის მდგრადი მართვა გამოყენება ადგილობრივი თემებისათვის სარგებლის სამართლიანი და თანასწორი განაწილების უზრუნველსაყოფად.
აქტივობები	• ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა; • ტყის რესურსების მართვის არსებული ელექტრონული სისტემის შემდგომი განვითარება; • სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება; • მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ტყეების მრავალმხრივი დანიშნულებით გამოყენების მექანიზმების შემუშავება; • ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება; • ტყეების ეფექტიანად მართვისა და ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; • ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის შექმნა; • სახელმწიფო ტყის ფონდის დარეგისტრირებით ტყის ფონდის ტერიტორიების დაზუსტება, რითაც თავიდან იქნება აცილებული ტყის ფონდის ფრაგმენტაცია და ტყის ფართობების შემცირება.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	ტყეში არსებული რაოდენობრივ - ხარისხოვრივი მდგომარეობის დადგენა, რომელიც საფუძველს წარმოადგენს საფუძველს ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვისა და მისი რაციონალური გამოყენებისთვის. ასევე მოგვცემს საშუალებას მოხდეს ტყის დინამიკაზე დაკვირვება და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	ტყის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • შემუშავებული საკანონმდებლო ბაზა • მოწყობილი დროებითი სანერგეების ფართობი (ჰექტარი) • გაშენებული ფართობი (ჰექტარი) • მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებული ტყის ფონდის ტერიტორია (ჰექტარი) • მოწყობილი და რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზების (კმ) • მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოსახლეობის	**საბოლოო შედეგი:** • ცნობილია ინფორმაცია საქართველოს ტყეებში არსებული მდგომარეობისა და მათი რაოდენობის შესახებ • გამოიყენება საქართველოს ტყეების მართვის ახალი სტანდარტები • 2017 წლის ბოლოსთვის, ინვენტარიზებული ტყის ფართობი საერთო ფართობის 18 პროცენტამდე გაიზრდება

	მოთხოვნილების დაკმაყოფილებს მიზნით გამოყოფილი ტყეკაფების რაოდენობა (კუბური მეტრი) • მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით, ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემული მერქნული რესურსის რაოდენობა (კუბური მეტრი) • სარგებლობის უფლებით გაცემული სახელმწიფო ტყის ფონდის რაოდენობა (ჰექტარი) • პრიორიტეტის მიხედვით შერჩეული სატყეო უბნ(ებ)ში აღრიცხული (ინვენტარიზაცია ჩატარებული) ჰექტრების რაოდენობა • სატყეო უბნების რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ ტყის მართვის (ახალი) გეგმები • ხანძარსაშიშ უბნებში განთავსებული სპეციალური ნიშნებისა და საინფორმაციო	

	დაფების რაოდენობა • ხანძარსაშიშ ადგილებში მოწყობილი/შეკეთე ბული ხანძარსაწინააღმდე გო ბილიკებისა და მინერალიზებული ზოლების რაოდენობა • პირველაი სახანძრო ინვენტარით აღჭურვილი რეგიონალური სატყეო უბნების რაოდენობა • სატყეო სააგენტოს გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	
ფინანსური შეჯამება	• 2015 – 1.8 მლნ ლარი • 2016 – 3.2 მლნ ლარი • 2017 – 4.3 მლნ ლარი	**ბიუჯეტის კოდი** • 38 04 02 • 38 04 03 • 38 04 04 • 38 04 05
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	
საკონტაქტო ინფორმაცია:	ლია კომახიძე - ეროვნული სატყეო სააგენტო	

პრიორიტეტი	2. მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა
ღონისძიება	2.1 ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში პროგრამული და ინსტიტუციონალური ინიციატივების საშუალებით
დასაბუთება	საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების უმრავლესობა მცირე და საშუალო ბიზნესს წარმოადგენს და მათი დიდი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული. თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში საკმაოდ მცირეა(16-17%) სათანადო ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და რესურსების სიმცირე საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის კონკრეტულ გამოწვევებს წარმოადგენს.
მიზნები	• ადგილობრივი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირება. • მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში;
აქტივობები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა სტრუქტურული ერთეული სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის ყველა აქტივობა მიმართულია საქართველოში სამეწარმეო აქტივობის ხელშეწყობისკენ, კონკრეტულად კი შემდეგი მიმართულებებით: • მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომა დაფინანსებაზე; • ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; • კომპანიების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საკონსულტაციო მომსახურებისა და ცოდნის მიწოდება. სააგენტო ასევე არის სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განმახორციელებელი. პროგრამა ითვალისწინებს მიკრო, მცირე და საშუალო სამეწარმეო აქტივობების ხელშეწყობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაადვილების, შესაფერის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობისა და შესაფერისი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	განისაზღვრება პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით. **1. "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული მიმართულება:** აღნიშნული ხორციელდება კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით და სააგენტო ახდენს მეწარმის მიერ მიღებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას პირველი 2 წლის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევაში სესხის დამტკიცების გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომერციული ბანკის დისკრეციას. სესხის დამტკიცების პარალელურად ხდება დადგენა იმისა, თუ რამდენად შეესაბამება მეწარმე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი პროექტი სახელმწიფო პროგრამის ჩარჩო დადგენილების პირობებს (იგულისხმება სესხის მიზნობრიობა); **2. "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა:** აღნიშნული პროგრამის შემთხვევაში პროექტის შეფასებას ახდენს სამთავრობო კომისიის მიერ შერჩეული კონტრაქტორი ორგანიზაცია სახელმწიფო პროგრამის დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	სამიზნე ჯგუფები და მიმართულებები განისაზღვრება პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. **1. "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული მიმართულება:** აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას შემდეგ სფეროებში: მინერალური პროდუქტების გადამუშავება; სამშენებლო მასალების წარმოება; ქაღალდის, მუყაოს და ხის გადამუშავება; ლითონის გადამუშავება; ქიმიური მრეწველობა; ფარმაცევტული და საფეიქრო წარმოება; მანქანათმშენებლობა; ელექტრო მოწყობილობები წარმოება; მინერალური წყლის და სხვა საკვები პროდუქტების წარმოება; სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება. **2. "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა:** ორიენტირებულია საქართველოს "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური პირი. ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის ტიპი არ არის შეზღუდული.

ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • ახალი საწარმოების რაოდენობა • გადაიარაღებული არსებული საწარმოების რაოდენობა • ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობა • განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა • რეგიონში შექმნილი მიკრო და მცირე ბიზნესების რაოდენობა • შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა • გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობა;	საბოლოო შედეგები: • 2017 წ. ბოლოსთვის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების წილი მცირე და საშუალო ბიზნესში მთლიან დასაქმებულებში 2,2%-მდე გაიზრდება • პროგრამაში მონაწილე საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის ექსპორტი დაიწყება
ფინანსური შეჯამება	• 2015 – 12.0 მლნ ლარი • 2016 – 39 მლნ ლარი • 2017 – 30 მლნ ლარი	**საბიუჯეტო კოდი:** • 24 01 03 02 (2017 - 24 07 02)
განმახორციელებელი უწყება	ეკონომიკის სამინისტრო სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით) სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“	
საკონტაქტო ინფორმაცია	ოთარ ანთია - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი	

პრიორიტეტი	**პრიორიტეტი 3. სოფლის მეურნეობის განვითარება**
ღონისძიება	**3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზება**
დასაბუთება	პროგრამით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად აუცილებლობას წარმოადგენს: ტექნიკურად გაუმართავი და ავარიების ზღვარზე ფუნქციონირებადი წყალსაცავების კაშხლების, სარწყავი (ირიგაცია) და დამშრობი(დრენაჟი) სისტემების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია. ახალი სამელიორაციო სისტემებისა და ცალკეული წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად ამ

	ობიექტების რეგულარული, დადგენილი საექსპლუატაციო ღონისძიებების გატარება. ეტაპობრივად მიღწეული უნდა იქნას სარწყავი და დამშრობი სისტემების მომსახურეობის ზონაში მოქცეული მელიორირებული ფართობების საპროექტო პარამეტრებში ფუნქციონირების აღდგენა.
მიზნები	სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, დატბორილი ტერიტორიებდან ჭარბი წყლების მოცილება, შემდგომში ამ პროცესების განვითარების მინიმუმამდე შემცირებით სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდა და ნიადაგში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, რამაც თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების პარალელურად უნდა უზრუნველყოს სასოფლო- სამეურნეო კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღება, ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მაქსიმალურად დაკმაყოფილება, საექსპორტო პროდუქციის გაზრდა. სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება.
აქტივობები	**სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:** • ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების მშენებლობა და რეაბილიტაცია. • კონფლიქტით დაზარალებული სოფლების სავარგულების წყალუზრუნველყოფა. • სარწყავი სისტემების და ცალკეული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია. • დამშრობი სისტემების და წყალგამყვანი მაგისტრალური არხების რეაბილიტაცია. • რეაბილიტაციის პროგრამის განსახორციელებლად კვლევების, პროექტირების, ექსპერტიზისა და ზედამხედველობის ღონისძიებები **სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია:** • სარწყავი (საირიგაციო) სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია. • დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია, • მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირების ხელშეწყობა სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით, მანქანა-

	მექანიზმებითა და მოწყობილობების შეძენა, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია	
პროექტის შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტი მიენიჭებათ რეგიონებში არსებულ არხებს და სქემებს, რომლებსაც სოფლის მეურნეობის წარმოების, აგრობიზნესის და ასევე გაწეული ხარჯის ამოღების პოტენციალი გააჩნია.	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	ფერმერები,მიწათმოსარგებლები,სოფლის მოსახლეობა და სხვა წყალმოსარგებლები.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • დამატებით 44,4 ჰექტარი ფართობის გასარწყავება • 42,9 ჰექტარი ფართობის წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება • რწყვის ჩატარების გარანტირებული შესაძლებლობა მიეცემა დამატებით სავარაუდოდ 33-37 ათას ბენეფიციარს • სადრენაჟო სისტემებზე განსახორციელებელი ღონისძიებების შედეგი იქნება: დამატებით 18,6 ათასი ჰექტარი დაშრობილი ფართობის გამოყენება. • მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება 7,4 ათას ჰექტარზე.	**საბოლოო შედეგების** • 2017 წლის ბოლოსთვის წყალუზრუნველყოფილი ფართობის წილი მთლიან სამელიორაციო ფართობში 45 %-მდე გაიზრდება 2017 წლის ბოლოსთვის დრენირებული ფართობის წილი მთლიან გასაშრობ ფართობთან 33 %-მდე გაიზრდება

ფინანსური შეჯამება	• 2015 64.6 მლნ ლარი • 2016 68.3 მლნ ლარი • 2017 70.3 მლნ ლარი	ბიუჯეტის კოდი • 37 01 14 01 (2017 - 37 01 12 01) • 37 01 03 • 37 01 14 03 (2017 - 37 01 12 04)
განმახორციელებელი უწყება	შალვა კერესელიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
პრიორიტეტი	პრიორიტეტი 3: სოფლის მეურნეობის განვითარება	
ღონისძიება	3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა • შეღავათიანი აგროკრედიტები • სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი	
დასაბუთება	სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი ფერმერებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა პირდაპირ დაკავშირებულია	
მიზნები	ამ ღონისძიებების მიზანია მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერებისა და ფერმერთა ჯგუფებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომლობის გაზრდა. ამავე დროს სოფლის მეურნეობის დაზღვევის პოპულარიზაცია და წარმოებასთან	
აქტივობები	იაფი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში კერძო საფინანსო	

	ინსტიტუტების გამოყენებით წარმოების, გადამუშავების და სასაწყობე მეურნეობის მოწყობის აქტივობების დაფინანსება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოხდება კრედიტის პროცენტის დაფარავა (ლიზინგი) და ჩაერთვება კრედიტის საგარანტიო სქემებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში გაცემული სესხის და ლიზინგის პროცენტი დაიფარება. ამასთან ერთად დაფინანსდება 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაობი რათა მცირე ფერმერულმა მეურნეობებმა შეძლონ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოება. შეიქმნა შეღავათიანი აგრო–დაზღვევის პროექტი, გაფორმდა ხელშეკრულებები სადაზღვევო კამპანიებთან და სახელმწიფო დაფარავს სადაზღვევო პრემიუმის გარკვეულ ნაწილს.	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	სოფლის მეურნეობის პროექტები კონკურსის გზით უპირატესობა მოტივირებული მეწარმეების მიერ წარმოდგენილ კომერციულად სიცოცხლისუნარიან და მდგრად პროექტებს/იდეებს მიენიჭებათ. რაც შეეხება საგრანტო პროგრამებს, პრიორიტეტი გონივრული ბიზნეს გეგმებისა და წინადადების მქონე ეკონომიკურად ნაკლებად აქტიური მუნიციპალიტეტის მეწარმეებს საგაზაფხულო სამუშაოების დაფინანსების პროგრამით ისარგებლებლს ყველა ბენეფიციარი, რომელიც 2013-2014 წლებში სარგებლობდა პროგრამით. დაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლელია პირველად წარმოებაში დასაქმებული ყველა ფერმერს.	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	პროექტი ეროვნულ დონეზე განხორციელდება, თუმცა სპეციალური ინიციატივები (როგორიცაა საგრანტო პროგრამები) ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს დაეთმობა.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • იაფი კრედიტის პროგრამის ფარგლებში გაცემული სულ მცირე 2500 ახალი სესხი • ერთ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში არაუმეტეს 3 ახალი საწარმოს შექმნა და დაფინანსება. • 283,346 ბენეფიციარი მიიღებს ფიქსირებული 20 (ოცი) ლარის ღირებულების სარგებელს, სასოფლო–სამეურნეო საქონლის სახით, რომლის ჯამური ღირებულება იქნება 8,695,304 ლარი. 473,884 ბენეფიციარი მიიღებს 8,529,912 ლარის ღირებულების სარგებელს სასოფლო – სამეურნეო საქონლის სახით და იგივე ბენეფიციარები მიიღებენ 37,053,484 ლარის	**საბოლოო შედეგები:** • შეიქმნება მინიმუმ 50 ახალი საწარმო • ზარალის შემთვევაში ფერმერებს ზარალი აუნაძღაურდება • პროგრამის შედეგად სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმება გაიზრდება

	ღირებულების სარგებელს ნიადაგის ხვნის სამუშაოების სახით. • სახელმწიფო დაზღვევის პრემიუმის მომსახურებაში დახარჯავს 10,000,000 მილიონ ლარს	
ფინასური შეჯამება	• 2015 34.5 მლნ ლარი • 2106 49.2 მლნ ლარი • 2017 47.0 მლნ ლარი	**ბიუჯეტის კოდი:** • 37 01 07
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო)	
საკონტაქტო ინფორმაცია	შალვა კერესელიძე; ნინო ცუხიშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
პრიორიტეტი	**პრიორიტეტი 3: სოფლის მეურნეობის განვითარება**	
ღონისძიება	**3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები**	
დასაბუთება	სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოებადგენს დარგში მეცნიერული კვლევების განხორციელება ახალი ჯიშების გამოცდა დარაიონება და სხვა მსგავსი ღონისძიებები. 2014 წლის სექტემბრიდან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდა, რაც დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის ინვესტორებს საქართველოდან ევროკავშირში სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტისთვის. აღნიშნული ხელშეკრულებით საქართველოს ხელისუფლება სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით რიგი სამუშაოების განხორციელებას გეგმავს. ბაზრის დივერსიფიკაციის და ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვის კუთხით მცირე ფერმერებს პრობლემები შეექმნებათ და ნაკლებ კონკურენტუნარიანები იქნებიან. სწორედ ამ მიზნით საქართველოს მთავრობას სურს, მისცეს მათ შესაძლებლობა კოოპერატივების ორგანიზების გზით გაზარდონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა და წარმოების მასშტაბები. ქართული ღვინოების საექსპორტო მოცულობის გაზრდასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ახალი სამომხმარებლო ბაზრების მოძიება და ათვისების აუცილებლობა.	

მიზნები	ეს აქტივობები მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და იმ შესაძლებლობების გაზრდას, რომელიც საექსპორტო ბაზარს და პროდუქციის დივერსიფიკაციას უკავშირდება. შედეგად, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და კომერციულად მომგებიან სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები განხორციელდება. ეს ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მცირე და საშუალო ფერმერების კონკურენტუნარიანობის გაზრდას.	
აქტივობები	• სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით განხორციელებული აქტივობები • სურსათის უვნებლობის, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები • სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის აქტივობები • ქართული ღვინის პოპულარიზაციის და მევენახეების ხელშემწყობი პროგრამები	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	პროექტები ეროვნულ დონეზე განხორციელდება; პროექტების შერჩევა მოხდება ექსპორტის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, ფერმერული მეურნეობების კონსოლიდაციის შესაძლებლობების გათვალისწინებით.	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	პროექტი ეროვნულ დონეზე განხორციელდება; ბენეფიციარები: სურსათის ეროვნული სააგენტო; სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; ღვინის ეროვნული სააგენტო, სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • სამეცნიერო კვლევების რაოდენობა • სურსათისა და აგრობიზნესის საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც სურსათის უსაფრთხოების ზომების დაცვის კუთხით მონიტორინგი ჩაუტარდათ • დასრულებული ან მიმდინარე კვლევითი პროექტების რაოდენობა. • საქართველოს ღვინის პოპულარიზაციის კამპანიის მიზნით	**საბოლოო შედეგები:** • ღვინის გაზრდილი ექსპორტი და დივერსიფიცირებული ბაზარი • ფერმერული კოოპერატივების გაზრდილი რაოდენობა • შემოწმების დროს აღმოჩენილი დარღვევათა რაოდენობა შემცირდება • 10000 სულ საქონელზე ჯილეხისა და ცოფის რაოდენობა შემცირდება

	დაფინასებული ღონისძიებების რაოდენობა • შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა • სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის მიზნით ჩატრებული ტესტების რაოდენობა	
ფინანსური შეჯამება	• 2015 - 152.9 მლნ ლარი • 2016 - 158მლნ ლარი • 2017 - 100 მლნ ლარი	**ბიუჯეტის კოდი** • 37 01 05 • 37 01 08 • 37 01 17 • 37 01 14 02 (2017 - 37 01 12 03) • 37 02 • 37 03 • 37 04
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; სურსათის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;	
საკონტაქტო ინფორმაცია	შალვა კერესელიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
პრიორიტეტი	**პრიორიტეტი 3: სოფლის მეურნეობის განვითარება**	
ღონისძიება	**3.4 სასოფლო- სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება**	

დასაბუთება	დღესდღეობით მიწის ბაზარი საქართველოში არ არის კარგად განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ მიწის რეფორმა ქვეყანაში 1992 წელს დაიწყო, დღემდე არ დასრულებულა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესი. მცირე და საშუალო ფერმერებისა თუ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დიდ ნაწილზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეორადი ბაზრის განვითარებისა და კერძო ინვესტიციების განხორციელებას სოფლის მეურნეობაში. ამ დრომდე შეუძლებელია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და განკერძოებული მიწის ნაკვეთების ზუსტი ფართობების დადგენა. საქართველოს მთავრობა მიწის რეგისტრაციის პოლიტიკას და პროცედურებს განსაზღვრავს, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო პროექტის განხორციელებას გულისხმობს. მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულება და მეორადი ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტიციების განხორციელებას კომერციულად მომგებიან სოფლის მეურნეობაში.
მიზნები	ამ ღონისძიების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ, გაზრდის ინვესტიციებს კომერციულად მომგებიან სოფლის მეურნეობის დარგში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროექტი შეეხება არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, არამედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, რაც ასევე, ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვას.
აქტივობები	სახელმწიფო პროექტის განხორციელება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის მიზნით; სახელმწიფო პროექტი გულისხმობს იმ საჯარო მმართველობითი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. სახელმწიფო პროექტის კომპონენტია საპილოტო პროექტი, რომელიც სახელმწიფო პროექტის განხორციელების პარალელურად პროაქტიულად წარიმართება გეოგრაფიული მრავალფეროვნების ნიშნით შერჩეულ საქართველოს 12 დასახლებაში
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	საპილოტო პროექტის განხორციელების მიზნით შეირჩა 11 არეალი, რომელიც შედგება 12 დასახლებული პუნქტისგან. საპილოტო არეალები შეირჩა მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის კუთხით გამოვლენილი პრობლემატიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	სახელმწიფო პროექტი განხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო საპილოტო პროექტის არეალებია: კარალეთი (გორის მუნიციპალიტეტი); ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი); არბოშიკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი); არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი); სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი); მანგლისი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი); ზარიძეები (თიანეთის მუნიციპალიტეტი); ვედიდკარი (მარტვილის მუნიციპალიტეტი); ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი); საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი); მზისგული (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი); შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი).	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • შემოთავაზებული კანონმდებლობა საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; • მიწის რეგისტრაციისა და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია.	**საბოლოო შედეგები:** ბაზრის საკანონდებლო რეგულაციების დახვეწა
ფინანსური შეჯამება	**ბიუჯეტი:** • 2015 – 1.2 მლნ ლარი; • 2016 – 2.0 მლნ. ლარი; • 2017 – 2.4 მლნ. ლარი.	**საბიუჯეტო კოდი:** • 26 09 (2016 წლიდან)
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საჯარო დაწესებულებებთან ერთად.	
საკონტაქტო ინფორმაცია	თამთა ჭანტურია - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	

პრიორიტეტი	4 ტურიზმის განვითარება
ღონისძიება	4.1 ტურიზმის ხელშეწყობა
დასაბუთება	საქართველოს ერთ - ერთ მთავრ აქტივს და ღირებულებას მისი მიმზიდველი საერთაშორისო ტურისტული მდებარეობა წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასების ანალიზი არ ჩატარებულა და კონსოლიდირებული მონაცემთა ბაზა არ მოიპოვება. საქართველოს, როგორც საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაცია არასაკმარისად ხორციელდება. ასევე, დაბალია ისეთი ძირითადი უნარების დონე, როგორიცაა სასტუმროების მენეჯმენტი და მომსახურება.
მიზნები	ამ ღონისძიების მიზანია საქართველოს ტურიზმის მრეწველობის მგრადი განვითარების ხელშეწყობა და წახალისება.
აქტივობები	• მარკეტინგული აქტივობების მეშვეობოთ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია • ტურიზმის რესურსების და თითოეული რეგიონის პოტენციალის , მათ შორის კულტურული და ბუნებრივი რესურსების კვლევა • შიდა და საერთაშორისო ტურიზმის პოპულარიზაცია • ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება • ტრენინგების გზით, ტურიზმის მრეწველობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება • მცირემასშტაბიანი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	პროექტები საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების თანახმად შეირჩევა
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	ქართველი და უცხოელი ტურისტები; კერძო სექტორის წარმომადგენლები;

ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • დასრულებული რეგიონული კვლევების რაოდენობა • შექმნილი საინფორმაციო ცენტრების რაოდენობა • ტრენინგებისა და გადამზადებულთა რაოდენობა • ტურიზმის პოპულარიზაციისთვის განხორციელებული აქტივობების რაოდენობა და ტიპები • განვითარებული • „ტურიზმის პროდუქტების“ რაოდენობა	**საბოლოო შედეგები:** • საქართველოში უცხოურ ტურისტთა რაოდენობის გაზრდა ტურიზმიდან მიღებული უხოური ვალუტის მოცულობის ზრდა
ფინანსური შეჯამება	• 2015 - 23.0 მლნ ლარი • 2016 - 25.1 მლნ ლარი • 2017 - 50 მლნ ლარი	**საბიუჯეტო კოდი** • 24 05 02
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	
საკონტაქტო ინფორმაცია	რუსუდან მამაცაშვილი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	

პრიორიტეტი	**5 ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ- ნაციონალურ დონეებზე**
ღონისძიება	**5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა**
დასაბუთება	საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ - ეკონომიკური პრობლემა და მთავარი გამოწვევაა. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის სათანადო პირობების შექმნა. შრომის ბაზრის ზოგადი სურათის მისაღებად,

	აუცილებელია, მთელი რიგი ინფორმაციის მოპოვება და შედარებითი ანალიზი, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის კვლევას, რათა განისაზღვროს სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი. მსგავსი კვლევების სისტემატურად ჩატარებისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის არსებობის გარეშე, რთულია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება.
მიზნები	კვლევის მიზანია შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობილებების/მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მომზადება, დამსაქმებელთა საჭიროებების შესწავლა, მოთხოვნადი პროფესიებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.
აქტივობები	• საქართველოში არსებული შრომის ბაზრის მდგომარეობის გათვალისწინებით ადაპტირებული კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება • აღნიშნული ინსტრუმენტების ბაზაზე საქართველოს მეწარმეთა შერჩევითი გამოკითხვის ჩატარება; • მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი; • ბიზნესის, მთავრობის, მედიის, სამეცნიერო, აკადემიური და კვლევითი დაწესებულებებისთვის, არასმთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა • კვლევის შედეგებზე ანგარიშის გამოქვეყნება; • შედეგების ვებ გვერდზე განთავსება;
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	მეწარმეთა შერჩევა ეფუძნება ფართოდ აპრობირებულ მეთოდს, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით საწარმოების შერჩევას. თითოეული საწარმოს/ეკონომიკური სექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს: • წარმოების მოცულობა • სხვადასხვა პროფესიების დასაქმება • მიმდინარე ვაკანსიებზე არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები • კვალიფიციური სამუშაო ძალის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები • მოლოდინები თითოეულ პროფესიაზე თანმშრომელთა რაოდენობის შესახებ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	შერჩეული საწარმოები.

ინდიკატორები & სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • მომზადებული შრომის ბაზრის კვლევა	**საბოლოო შედეგები:** • სამსახურის მაძიებელთათვის შრომის ბაზრის შესახებ გაუმჯობესებულ ინფორმაიაციაზე წვდომა გაზრდილი შესაძლებლობა შრომის ბაზრის პოლიტიკის მომზადებასა და განხორციელებაზე.
ფინანსური შეჯამება	• 2015 - 0.8 მლნ ლარი • 2016 - 0.3 მლნ ლარი • 2017 - 0.3 მლნ ლარი	**საბიუჯეტო კოდი:** • 35 05 03
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	
საკონტაქტო ინფორმაცია	გიორგი გამყრელიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	

პრიორიტეტი	5 ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ- ნაციონალურ დონეზე	
ღონისძიება	5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება	
დასაბუთება	2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის რეკომენდაციით გადაწყდა 26 კეთილმოწყობილი პროფესიული განათლების კოლეჯის გახსნა, რომლებიც საქართველოს რეგიონებში არსებულ სოციალ- ეკონომიკურ გამოწვევებს უპასუხებენ და მაღალი ხარისხის სერვისებს განავითარებენ.	
მიზნები	ამ ღონისძიების მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით მაღალი დონის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა.	
აქტივობები	საწყის ეტაპზე, დაგეგმილია ყოველ წელს მინიმუმ ერთი პროფესიული კოლეჯის გახსნა. ამასთან ერთად, დამატებით იგეგმება არსებული კოლეჯების ეფექტიანობის შეფასება, მათი განვითარების გეგმების რეგიონულ საჭიროებებთან მისადაგება. ასევე, გათვალისწინებულია კოლეჯების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აღჭურვა.	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	რეაბილიტაციისთვის კოლეჯები სამინისტროს სამოქმედო გეგმის მიხედვით შეირჩევა, სადაც განსაზღვრულია მომდევნო წლების მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებები. ახალი პროფესიული კოლეჯების დაარსება დაეფუძნება კერძო სექტორიდან დამატებითი ფინანსების ხელმისაწვდომლობასა და სამინისტროს სტრატეგიით განსაზღვრულ საჭიროებებს.	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	26 ახალი კოლეჯის ადგილმდებარეობა უკვე განისაზღვრა და მათი შერჩევა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კერძო სექტორის მხრიდან დაფინანსების ხელმისაწვდომლობაზე იქნება დამოკიდებული.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • აგებული /განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტული რეგიონების მიხედვით;	**საბოლოო შედეგები:** • ფროფესიულ სასწავლებლებში ახალ სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება

	კონკრეტულ რეგიონებში არსებული განახლებული და აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.	
ფინანსური შეჯამება	• 2015 – 12,9 მლნ ლარი • 2016 – 10 მლნ ლარი • 2017 – 16,0 მლნ ლარი	**საბიუჯეტო კოდი** • 32 06 02 02
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო	
საკონტაქტო ინფორმაცია	ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო	

პრიორიტეტი	5 ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ- ნაციონალურ დონეზე
ღონისძიება	5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები
დასაბუთება	საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ განვითარებაში, რადგან სოფლის მეურნეობა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ფინანსური და არაფინანსური შემოსავლის დომინანტურ წყაროს წარმოადგენს. ფერმერთა მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია მაღალი დონის სწავლებისა და ექსტენციის სიტემების განვითარება, რაც ფერმერებისთის აუცილებელი ცოდნის გადაცემას და მათი წარმოებისა და შემოსავლის გაზრდას შეუწყობს ხელს.
მიზნები	პროექტის მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს მაღალი ხარისხის პროფესიული სწავლებისა და სოფლის მეურნეობაში ექსტენციის სისტემების განვითარების საქმეში, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება.

აქტივობები	• მოხდება რვა პროფესიული კოლეჯის და შვიდი სახელმწიფო საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის დახმარება, რათა მათ შეძლონ უფრო მოქნილი და ინოვაციური, შესაბამისი და ეფექტიანი სასწავლო პროგრამების შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ამ სისტემებზე, მინიმუმ, 10 000 ფერმერს ექნება წვდომა; • ხელი შეეწყობა კვალიფიციური ადამიანური რესურსებითუზრუნველყოფის მრავალმხრივი სისტემების შექმნას, ფერმერებისთვის სხვადასხვა ტრენინგებისა და სერვისების შეთავაზებას და მათთვის პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გადაცემას ქვეყნის პარტნიორების და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტების დახმარებით; • კერძო და საჯარო სექტორის გაძლიერებით პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის მოდელის ჩამოყალიბებას სოფლის მეურნეობაში, პროფესიული განათლებისა და სწავლების, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურების კოორდინაციისა და მიწოდების გზით. საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებული მხარეების კომპეტენციების (უნარ-ჩვევების) განვითარება და ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა.	
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	პროექტები შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) , გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ეროვნულ დონეზე შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით შეირჩევა	
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	საჯარო სექტორის მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; მუნიციპალიტეტები, უმაღლესი განთლების დაწესებულებები; საჯარო პროფესიული განათლებისა და გადამზადების კოლეჯები და ახლად დაარსებული ფერმერთა საინფორმაციო - საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი.	
ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • პროფესიული განათლებისა და ინოვაციების დანერგვისთვის მომზადებული მასწავლებლების რაოდენობა; • სასწავლო გარემოს (ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები და აღჭურვილობა) გაუმჯობესებაზე ორიენტირებული	**საბოლოო შედეგები:** • გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა • სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა

	მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა; • იმ პროფესიული სასწავლებლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, რომელთაც დანერგილი აქვთ ეფექტური და ინოვაციური სასწავლო პროგრამები სოფლის მეურნეობის კუთხით და ექსტენციის მომსახურების გაწევის უნარი გააჩნიათ; • სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურების გამწევთა რაოდენობა (ფერმერები, ვეტერინარები, ზოო-ტექნიკოსები, საკვების გადამამუშავებლები და სხვ.); • სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და საკონსულტაციო მომსახურების კოორდინაციისა და მიწოდების მიზნით საჯარო-კერძო თანამშრომლობის პლადფორმის შექმნა და შესაბამისი სერვისების დანერგვის უზრუნველყოფა.	• გადამზადებული ფერმერების გაზრდილი რაოდენობა
ფინანსური შეჯამება	**წლების მიხედვით მთლიანი ღირებულება:** • 2015-1.5 მლნ ლარი • 2016-1.8 მლნ ლარი • 2017-0.9 მლნ ლარი	ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გააჩნია საბიუჯეტო კოდი
განმახორციელებელი უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო , გაეროს გავითარების პროგრამა - UNDP	
საკონტაქტო ინფორმაცია	გიორგი ნანობაშვილი - UNDP	

პრიორიტეტი	5. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ- ნაციონალურ დონეზე
ღონისძიება	5.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება
დასაბუთება	პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013- 2020) პრიორიტეტად განისაზღვრა პროფესიული მასწავლებლების მომზადება და განვითარება; კომპეტენციის განვითარების მიზნით სისტემური და სისტემატიური ტრენინგების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ახალი კადრების მოზიდვა, არსებულის შენარჩუნება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
მიზნები	პროფესიულ საგანმანათლებლო სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესება
აქტივობები	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებელთათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა . პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ და დაეუფლონ სასწავლო პროცესში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, სწავლების თანამედროვე მეთოდებს და გაიზიარონ სწავლების წარმატებული პრაქტიკა
პროექტის შერჩევის კრიტერიუმები	თითოეული ტრენინგის თემატიკა პროფესიულ სტანდარტს და მასწავლებელთა საჭიროების ანალიზს დაეფუძნება.
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები	სამიზნე ჯგუფი: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელი ბენეფიციარი : საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ინდიკატორები და სამიზნეები	**მყისიერი შედეგები:** • პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება; • გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად განხორციელებული ტრენინგების რაოდენობა და დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობა; • რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოები, კომპანიები) განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა.	**საბოლოო შედეგები:** • გადამზადებული პედაგოგთა რაოდენობა გაიზრდება • გაუმჯობესდება წავლების ხარისხი და შეფასების პროცესი
ფინანსური შეჯამება	• 2015 -13.2 მლნ ლარი • 2016 – 0.3 მლნ ლარი • 2017 - 0.3 მლნ ლარი	**საბიუჯეტო კოდი** • ნაწილი 32 02 02
განმახორციელებელი ორგანო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ -„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“.	
საკონტაქტო ინფორმაცია	ნათია გვირჯიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	

პრიორიტეტი	5. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ- ნაციონალურ დონეზე
ღონისძიება	5.5 ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები სუბ-ნაციონალურ დონეზე
დასაბუთება	სუბ-ნაციონალურ დონეზე ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საკითხი, დიდწილად, უკავშირდება როგორც ადგილობრ საჯარო მოხელეთა კვლიფიკაციის დონის ამაღლების საჭიროებას, ასევე სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების საჯარო მოხელეთა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოხელეთა გადამზადებას.
მიზნები	1. რეგიონული და ადგილობრივი საჯარო მოხელეთათვის უწყვეტი და სისტემური შესაძლებლობების განვითარებისთვის საჯარო მექანიზმის ამოქმედება, რომლის თანადაფინანსება სახელმწიფო და მინუციპალური ბიუჯეტებიდან განხორციელება. 2. სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა გადამზადების უზრუნველყოფა.
აქტივობები	• ადგილობრივი საჯარო მოხელეების უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა • მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის ფარგლებში მათი უფლებამოსილებების გასაცნობად • შექმნილი უწყვეტი სწავლების სისტემის მეშვეობით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარების ხელშეწყობა • პრიორიტეტულ სფეროებში ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა • სწავლების მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერების პროცესის მხარდაჭერა და მათი დაკავშირება მუნიციპალიტეტებთან • მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლოი პროგრამების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა და უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მხარდასაჭერად • სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა გადამზადება

<table>
<tr><td>პროექტის შერჩევის კრიტერიუმები</td><td colspan="2">1. მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარება.
2. სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა გადამზადებისთვის სსიპ „ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრთან“ კოორდინაციით გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შერჩეული სწავლების მიმწოდებლები.</td></tr>
<tr><td>სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები</td><td colspan="2">სამიზნე ჯგუფი 1: საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეები სამიზნე ჯგუფი 2:
სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელეები.</td></tr>
<tr><td>ინდიკატორები და სამიზნეები</td><td>ინდიკატორები:

• მუნიციპალიტეტების რაოდენობა ეფექტური ადამიანური რესურსების მართვის შემუშავებული პოლიტიკით
• ახალი შემუშავებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა
• მუნციპალიტეტბისა და სწავლების მიმწოდებელთა მიერ განხორცილბული ერთობლივი სასწავლო ღონისძიებების რაოდენობა
• ტრენინგებში მონაწილე პირთა/ტრენინგების დღეების რაოდენობა
• ტრენინგ გავლილი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა რაოდენობა (სქესის ნიშნით განცალკევებული)
• ტრენინგ-გავლილი სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა რაოდენობა</td><td>საბოლოო შედეგები:

• შექმნილი და მოქმედიეფექტური სწავლების სისტემა

• გადამზადებულ სახელმწიფო მოხელეთა წილი მთლიან სახელმწიფო მოხელეთა საერთო რაოდენობაში გაზრდილია</td></tr>
</table>

ფინანსური შეჯამება	• 2015 - 0.5 მლნ ლარი • 2016 - 0.3 მლნ ლარი • 2017 - 0.2 მლნ ლარი	ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გააჩნია საბიუჯეტო კოდი
განმახორციელებელი უწყება	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და სსიპ - „ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმი ცენტრთან“ თანამშრომლობით.	
საკონტაქტო ინფორმაცია	ნინო კაკუბავა - UNDP	